1980-იანი წლების დასაწყისში იქ ჩავიდა ქართველი სტუდენტების, ლექტორების, მწერლების ჯგუფი, „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი **ბრიგოლ ჩიბოგიძე** თავის მოსწავლეებთან ერთად... ეს იყო და ეს — არავითარი ახალი ამბავი.

ბელარუსის რესპუბლიკაში 2006 წლიდან ყოველ ზაფხულს ჩავდივარ, მას შემდეგ, რაც ჩემი ვაჟი, **გიორგი დოლიძე**, ოჯახითურთ მინსკში დასახლდა. იქ გავიცანი შესანიშნავი პატრიოტი, საქართველოსა და ბელარუსში ცნობილი სამხისტი, დუმილი **როლანდ ქაბაშვილი**, რომელმაც ამ მშვენიერ ქვეყანაში დააარსა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამული“. ჩვენი თანამემამულეების ნებით ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო ერთხმად აირჩიეს.

მასთან და ჩემს ვაჟთან ერთად მირზას საფლავი პირველად 2011 წელს მოვიწახულო. მირზა გელოვანის პირველი ლექსი შორეულ 1933 წელს გამოაქვეყნდა, როცა 16 წლისა იყო, ხოლო უკანასკნელი — 1944 წელს, როცა იგი 27 წლისა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. 1954 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი მცირე კრებული. ამ პატარა ნიგნს **გალაქტიონ ტანიძე** გულის ჯიბით ატარებდა.

ჩემი სკოლის წლებში ბევრი იყო გატაცებული მირზა გელოვანის შემოქმედებით, ისევე, როგორც მისი ძმადანაფიცის — **ლადო ასათიანის** ლექსებით. სხვათა შორის, ლადო ასათიანი ჩვენი სახლის წინ ცხოვრობდა, სოლოლაკში, ძერჟინსკის ქუჩის №3-ში. მაშინ იმ სახლის ფასადზე მიკრული იყო მემორიალური დაფა. დღეს კი მისი კვალიც არ ჩანს, როგორც ბევრი სხვა რამის, რითაც ჩვენი ქვეყანა ამპყობდა, მაგრამ ეს სხვა თემაა.

1939 წელს მირზა ჯარში გაიწვიეს. მისი საფრონტო გზების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა არმიიდან გამოგზავნილი წერილები შემონახულია.



ქმათა სასაფლაო, სადაც განისვენებს მირზა გელოვანი. მარცხნიდან: როლანდ ქაბაშვილი, ლევან დოლიძე, სოფელ რაშაპის მირზა გელოვანის სასაფლაოს სკოლის დირექტორი ნიკოლაი ბარუსტანი, გიორგი დოლიძე

მირზას საფლავზე გამგზავრების წინ შეგვხვდა მისი უფროსი ძის, როენას შვილს — **ნანა ჭყონიას**. მისი სხვა ახმატლები იმხანად უკვე გარდაცვლილები იყვნენ.

ჩემი ყოველი გამგზავრება ბელარუსში გვირგვინდებოდა საგაზეთო პუბლიკაციებით მირზა გელოვანის შესახებ. თეორიულ გავიდა ტელეგადაცემაც.

მირზა გელოვანს ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო ფორმა არ გაუხდია, მან განვლო გზა რიგითი ჯარისკაციდან კაპიტანამდე — სატანკო ბატალიონის მეთაურამდე.

დე. იგი დაიღუპა მდინარე დასავლეთ დვინაზე ნითელი არმიის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული ოპერაციის მსვლელობისას, რომლის კოდური სახელწოდებაც იყო „ბაგრატიონი“. **მირზა გელოვანი ბრძოლის ველზე დაეცა არა 1944 წლის 19 ივლისს, როგორც აქამდე ვიცოდით, არამედ 26 ივნისს, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არქივის მასალებით.**

სწორედ ამ დღეს ფაშისტებთან ბრძოლისას დაიღუპა

მფრინავი **ანტუნ დე სენტ-ეზიზიარი**, „პატარა უფლისწულის“ ავტორი.

როგორი დამთხვევაა! ჩემმა ძველმა მეგობარმა, გენერალმა **მლადინ მარ ვისოცკიმ** ერთი საოცარი ამბავი გაიხსენა. როცა იგი ნოვოგრეკასკის სუვოროვის სახელობის სასწავლებელში უფლებოდა სამხედრო ანბანს. 1945 წელს ერთ გაკვეთილზე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ორდენოსანმა **დიმიტრი მასნატიკინმა** თქვა: „დღეს მოგიყვებით ჩემს საუკეთესო ფრონტულ მეგობარზე“. ეს მეგობარი მირზა გელოვანი აღმოჩნდა. „როცა ზარბაზნები დადუმდებოდნენ, იგი ჩვენ, თანამებრძოლებს, გვიკითხავდა ქართულ ლექსებს. არც ერთმა ჩვენგანმა ქართული არ იცოდა, მაგრამ ყველას გვსმომოდა მის მიერ განცდილი, ამაღლებული ბრძოლის სასოგლო სიყვარულის, ერთგულების, მამოვრობის...“

მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორის, 82 წლის ომგადახდილი კაცის — **ნიკოლაი ბარუსტანის** თქმით (ეს კეთილი გულის პატრონი საქართველოს დიდი მეგობარი 2016 წელს გარდაიცვალა), მირზა გელოვანი დაკრძალული იყო დასავლეთ დვინის ნაპირზე აღმართულ ბორცვზე, ნიჟნი კრივონოს მახლობლად. საფლავზე, როგორც ოფიცერს შეეფერებოდა, დადგმული იყო ფირფიცის ობელისკი მსვლელობისას, რომლის კოდური სახელწოდებაც იყო „ბაგრატიონი“.

ჩვენი თანამემამულეების ნებით ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო ერთხმად აირჩიეს.

სწორედ ამ დღეს ფაშისტებთან ბრძოლისას დაიღუპა

დე. იგი დაიღუპა მდინარე დასავლეთ დვინაზე ნითელი არმიის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული ოპერაციის მსვლელობისას, რომლის კოდური სახელწოდებაც იყო „ბაგრატიონი“.

ჩვენი თანამემამულეების ნებით ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო ერთხმად აირჩიეს.

სწორედ ამ დღეს ფაშისტებთან ბრძოლისას დაიღუპა

ჩავედით სოფელ სანიკიში, იქ უკვე ძმათა სასაფლაო დაგვიხდა ომში დაღუპული გმირების, 104 ვაჟკაცს შორის სამი საბჭოთა კავშირის გმირი იყო. სამწუხაროდ, მირზას სამხედრო წოდება შეცდომით იყო მიწერილი: უფროსი ლეიტენანტის ნაცვლად — რიგითი.

საჭირო იყო შეცდომის სასწრაფოდ გასწორება. როლანდ ქაბაშვილსთან ერთად ბელარუსის რესპუბლიკის ოფიციალური ორგანიზაციების მეშვეობით დავადგინეთ მირზას დაღუპვის ზუსტი თარიღი, ოფიცრის წოდება — კაპიტანი და თანამდებობა — სატანკო ბატალიონის მეთაური.

როცა ბელარუსში ჩვენგან შეიქმნა, რომ 2017 წლის 2 მარტს მირზა გელოვანის დაბადებიდან 100 წელი სარულდებოდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი მუშაობა გასწია პოეტის საფლავის კეთილმოწყობადად, თუმცა მოვლა და ყურადღება არც უნდა აკლდა. ამათა სასაფლაოზე, შესასვლელთან სამამებრიანი მართლმადიდებლური ჯვარი აღმართეს. საქართველოში კი მემორიალი პოეტის იუბილემ ისე უფერულად ჩაიარა, როგორც ბევრმა სხვა რამემ.

ყველა ამ კეთილი საქმის განხორციელება შესაძლებელი შეიქმნა ჩვენი ბელარუსი მეგობრების წყალობით, განსაკუთრებით კი, ბეშენკოვიჩის რაიონის თავმჯდომარის — **ლ.კ. პენკოვსკის**; ამავე რაიონის სამხედრო კომისრის, პოდპოლკოვნიკ **პ.პ. პაპოლოვსკის**; ომის ვეტერანების, რეზერვის საშუალო სკოლის კოლექტივისა და ბევრი სხვა კეთილი ბელარუსი ადამიანის დახმარებით.

ჩვენ სხვადასხვა დონეზე დავაყენეთ საკითხი მირზა გელოვანის ცხედრის საქართველოში გადმოსვენების თაობაზე, შევხვდით ბელარუს მწერლებს, მასმედიის, კულტურის ცნობილ წარმომადგენლებს, ძალიან სტრუქტურების თანამშრომლებს, სასულიერო მოღვაწეებს. ყველგან დიდი სითბოთი და ყურადღებით გვხვდებოდნენ, გვისმენდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მემომართა საფლავები ბელარუსში წარმოდგენილია, როგორც ამ ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. მთავრობა და ხალხი ღირსეულ პატივს მიაგებს სამამულო ომში დაღუპულ გმირებს. და, ალბათ, მართალია ბელარუსის რესპუბლიკის ვეტერანთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი **ანატოლი ნოვიკოვი**, რომელმაც გვითხრა: „მირზა გელოვანი დღეს როგორც საქართველოს, ისე ბელარუსის შვილია, იგი ჩვენს მოძმე ქვეყნებს თანაბრად ეკუთვნის“...

ბელარუსში ქართული დიასპორის საპატიო თავმჯდომარე როლანდ ქაბაშვილსთან ერთად მირზა გელოვანის საფლავზე გვირგვინი მივიტანეთ და საქართველოდან სპეციალურად ჩატანილი „ქინძმარაული“ ვაპკურეთ.

ლევან დოლიძე,
საქართველოს
დამსახურებული
ჟურნალისტი
თბილისი-მინსკი-ვიტებსკი



მემორიალი მირზა გელოვანის საფლავთან

ეს ზნაა ჰიქოლია



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ორი კვირის წინათ ფრანგი მამაკაცი იმის გამო გაამართლეს, რომ ნაფიცმა მსაჯულზე მის ქმედებაში ქალადობის კვალი ვერ იპოვეს, კერძოდ, ვერ დაუშტკიცეს, რომ მან 11 წლის გოგონა ქალდატანებით გააუპატიურა. უფრო ადრე კი ფრანგულმა სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო 28 წლის მამაკაცი: პროკურორებმა მიიჩნიეს, რომ მისი სექსუალური ურთიერთობა 11 წლის გოგონასთან თანხმობით განხორციელდა.

აშშ-ის მოსახლეობის 44 პროცენტი მიიჩნევს, რომ სქესი პიროვნების პირადი საქებაა

აშშ-ის 4573 მოქალაქის მონაწილეობით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი უკვე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანის სქესი დაბადებისთანავე კი არ არის განსაზღვრული, არამედ შეიძლება ინდივიდმა თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს. გამოკითხვამ ცხადყო, რომ გენდერის საკითხების შეფასების თვალსაზრისით საზოგადოება ორად გაიყო. რესპუბლიკელების 80 პროცენტი მიიჩნევს, რომ სქესი დაბადებით განისაზღვრული მოცემულობაა. დემოკრატთა შორის ამ დებულებას მხოლოდ 34 პროცენტი ეთანხმება. 2000 წლის შემდეგ დაბადებულთა 51 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ყველა აქვს უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი სქესი. ამასთან, რესპონდენტთა მესამედი (32 პროცენტი) ფიქრობს, რომ აშშ-მა ძალიან შეტოპა ტრანსგენდერების, ანუ პედერასტების მხარდაჭერის საკითხში.



ბულთა 51 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ყველა აქვს უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი სქესი. ამასთან, რესპონდენტთა მესამედი (32 პროცენტი) ფიქრობს, რომ აშშ-მა ძალიან შეტოპა ტრანსგენდერების, ანუ პედერასტების მხარდაჭერის საკითხში.

ხნობილი პოლიტიკოსი მამათავაღუკი საქსით სამუშაო აღილზე ერთობოდა

ეს „კაცი“ 33 წლის უეს გუდმანი, რესპუბლიკელი კონგრესმენი ოჰაიოს შტატიდან. იგი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყოს მას შემდეგ, რაც მამაკაცთან სექსუალური აქტზე წაასწრეს სამუშაო კაბინეტში. გუდმანი ცოლშვილიანია, დადის ეკლესიაში, მონაწილეობს პარლამენტის სხდომებში და ითვლება ტრადიციული ღირებულებების დამცველად, მხარს უჭერს ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტს და საზოგადოებაში ცოლთან ერთად გამოდის ხოლმე. ამ ინციდენტის შემდეგ გაირკვა, რომ გუდმანს წლების განმავლობაში ინტიმური მიმონერაჰჰო-ნა მამაკაცებთან. ისინი ერთმანეთს ინტიმურ ფოტოსურათებსაც უგზავნიდნენ. მან ბოდიში მოუხადა ამომრჩეველებს, რომლებსაც იმედი გაუტრუა. ურწალისტმა კალუბ ჰამა განაცხადა, რომ პოლიტიკოსი სთავაზობდა სექსუალურ ურთიერთობას ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი (ჰალი) ყმანვილი იყო და სკოლაში სწავლობდა. მან შეაგროვა და გაასაჯაროვა 30 ახალგაზრდა კაცის აღიარება კონგრესმენის მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ. RanKer-ის რეიტინგის მიხედვით, 16 ანტი-ლგბტ აქტივისტი გეი აღმოჩნდა — უმრავლესობა ქამინგ-აუტიტ არ გამოსულა, მათი ურთიერთობების შესახებ გარემოცვამ განაცხადა.



ტიკოსი სთავაზობდა სექსუალურ ურთიერთობას ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი (ჰალი) ყმანვილი იყო და სკოლაში სწავლობდა. მან შეაგროვა და გაასაჯაროვა 30 ახალგაზრდა კაცის აღიარება კონგრესმენის მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ. RanKer-ის რეიტინგის მიხედვით, 16 ანტი-ლგბტ აქტივისტი გეი აღმოჩნდა — უმრავლესობა ქამინგ-აუტიტ არ გამოსულა, მათი ურთიერთობების შესახებ გარემოცვამ განაცხადა.

ორკალუკი საქსის ფოტო ათასობით ნყვილის საქორწინო გეგმები დაარკვია

სხვადასხვა ქვეყნის ათასობით ნყვილი, რომლებიც აპირებდნენ საბერძნეთის კუნძულ როდოსზე მდებარე ცნობილ სამრეკლოში ჯვარისწერას, იძულებული შეიქნა, ხელი აეღო ამ განზრახვაზე როდოსელი მითროპოლიტის — კირილეს აკრძალვის გამო. უცხოელებს ჯვრისწერა აუკრძალეს იმ ფოტოსურათის გამო, რომელიც ბრეტანელმა ახალდაქორწინებულმა ნყვილმა — კარლი და მეთიუ ლუნებმა — „ფისბუქში“ გამოაქვეყნეს. ფოტოზე სიძე მარგალჩახილი დგას სამრეკლოს ფონზე, პატარა კი მის წინაა ჩაცმული და ორალურ სექსს იმიტირებს. „სირცხვილი ამ ორს ზარალისთვის, რაც მათ მოგვაცემს, — განაცხადა როდოსელმა გიორგოს ელევტერიოვმა, რომელმაც ჯვარი დასწერა ლუნებს, — ვითომ გაბედავენ და იმავს ჩაიდენდნენ თავიანთ სამშობლოში ბრიტანული ეკლესიის წინ, ებრაული სინაგოგის ან მუსლიმთა მეჩეთის წინ?“ სამრეკლოში საქორწინო რიტუალები 2021 წლამდე იყო განვირდი.



რომელმაც ჯვარი დასწერა ლუნებს, — ვითომ გაბედავენ და იმავს ჩაიდენდნენ თავიანთ სამშობლოში ბრიტანული ეკლესიის წინ, ებრაული სინაგოგის ან მუსლიმთა მეჩეთის წინ?“ სამრეკლოში საქორწინო რიტუალები 2021 წლამდე იყო განვირდი.

უზნეობა დემოტრაჰიის სახელით

საფრანგეთში 13 წლის ბავშვებთან საქსის დაკანონებას აპირებენ



ვეროპაში პედერასტობა რომ ყვავის და იფურჩქნება, საყოველთაოდ არის ცნობილი. ახლა ისეთი პირი უჩანს, პედოფილის დეკრიმინალიზაციასაც აპირებენ. სხვაგვარად ვერ შეაფასებ საფრანგეთის თანასწორობის საკითხების მინისტრის — მარლენ სკიაპას წინადადებას, რომელსაც იგი თემიდასავით თვალეზახვეული და ორპინიანი საწყაულით ხელში აუნყებს თანამემამულეებს: უნდა დაწესდეს ინტიმურ კავშირზე თანხმობის მინიმალური ზღვარი და იგი უნდა განისაზღვროს 13 ან 15 წლით.

ესე იგი, სკიაპას წინადადების კანონად მიღების შემთხვევაში, ამ კაცს 11 წლის ბავშვის გაუპატიურებისთვის იგივე გარემო პირობებში აუცილებლად დასჯიდნენ, მაგრამ 13 წლისა და რამდენიმე თვის რომ ყოფილიყო ის გოგონა, აღარ დასჯიდნენ. 11 წლის ბავშვის გაუპატიურება ისჯება, 13 წლისას — არაჰ!

საფრანგეთში განიხილავენ კანონპროექტს, რომლის თანახმად 13 წლამდე ნებისმიერი პირი ავტომატურად ითვლება უუნაროდ, თანხმობა განაცხადოს ინტიმურ კავშირზე. ადგილობრივი სამართლით, არაკანონიერ სექსუალურ დაახლოებად ითვლება ასეთი კავშირის დამყარება 15 წლამდე პირებთან, მაგრამ გაუპატიურებაში ბრალი წარედგინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორები შეძლებენ დამტკიცონ, რომ კავშირი თანხმობის გარეშე დამყარდა. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის მინიმალური ასაკის ზღვარი. იგულისხმება, რომ ბავშვს არ შეუძლია განაცხადოს თანხმობა, რასაც ავტომატურად მოჰყვება გაუპატიურებაში ბრალის წარდგენა. სკიაპამ განმარტა, რომ გარკვეულ წლოვანებამდე ნებისმიერ ბავშვთან ინტიმური კავშირის დამყარება ავტომატურად განიხილება, როგორც სექსუალური ძალადობა. „გარკვეულ ასაკად“ მას წარმოუდგენია 13 ან 15 წელი. 14 წლის ბავშვთან სექსი (თუ დაწესდა 13-წლიანი ზღვარი) ვილაც ავადმყოფმა რომ დაამყაროს, ამ პედოფილს ბრალს ვერ წაუყენებენ, ასე გამოდის. ე. ი. ეს ახალმოვლენი ქალბატონი თემიდა მოძალადე

ორივე რომ არასრულწლოვანია და მათ მიმართ განხორციელებული ქმედება პირუტყვობაა, ეს არავითარ მორალში არ ჯდება, არაფერს ნიშნავს?! ჯდება და სრულად ეთანხმება მხოლოდ ნეოლიბერალური პედერასტიისა და პედოფილის მორალში, გახრწნილების, ადამიანურობის სრული დაკარგვის ანტიზნობაში. დაზარალებული ბავშვების შირყული ფსიქიკა, შურაბცხყოფილი თავმოყვარობა, ოჯახის ტკივილი და წორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნა თურმე არაფერს ნიშნავს. ამოვლ ცდილობდნენ ამ ოჯახის ახლობლები და იურისტები, დემტკიცებინათ, რომ

მოძალადეს, ადამიანის (თანაც არასრულწლოვანის) სიცოცხლისთვის საშიში ქმედების ჩამდენს, რომელმაც ნაბილწა და ხელყო ადამიანის ელემენტარული უფლება, უნდა მიესაჯოს ის, რაც დაიმსახურა. ისინი აცხადებდნენ, რომ მსხვერპლი „პარალიზებული იყო შიშით და თავდაცვა არ შეეძლო“.

პროკურორებმა მიიჩნიეს, რომ გოგონასთვის ძალა არავის დაუტანებია, დათანხმებოდა სექსუალური აქტის ჩატარებას: „არ იყო არც ძალადობა, არც არავითარი შეზღუდვა და არც რაიმე მუქარა“ და ამიტომ გაუპატიურების ბრალდებაც მოიხსნა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი დაედავს, რომ „15 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენა, ქალადობის, შვილუფვის, მუშარის ან მოულოდნელობის გამო, ისჯება თავისუფლების აკრძალვით ხუთ წლამდე და 75 ათასი ევროს ჯარიმის დაწესებით. კანონი შენიშნავს მხოლოდ „სექსუალურ დანაშაულს“ და არა გაუპატიურებას, რაც ბრალდებასა და დასჯას იძლევა. სანტიტერესოა, რომ დიდ ბრიტანეთში მოქმედებს „თანხმობის არარსებობის პრეზუმფცია 16 წლამდე პირების მიმართ ყველა სექსუალური აქტის შემთხვევაში, ხოლო 13 წლამდე ბავშვებს მიმართ — დამატებითი სამართლებრივი გარანტიები, რომელთა მიხედვით, მათ, პრინციპში, არ შეუძლიათ, დათანხმდნენ სექსუალურ ქმედებას. ანალოგიური კანონები მოქმედებს გერმანიასა და ესპანეთში.

11 წლის ბავშვის გაუპატიურება ისჯება, 13 წლისას — არაჰ! ორივე რომ არასრულწლოვანია და მათ მიმართ განხორციელებული ქმედება პირუტყვობაა, ეს არავითარ მორალში არ ჯდება, არაფერს ნიშნავს?! ჯდება და სრულად ეთანხმება მხოლოდ ნეოლიბერალური პედერასტიისა და პედოფილის მორალში, გახრწნილების, ადამიანურობის სრული დაკარგვის ანტიზნობაში

გვერდი მოშადდა THE LOCAL-ის, CHRISTIANPOST-ის, „НОВОСТИ В МИРЕ“-ს, DAILY MAIL-ისა და INDEPENDENT-ის მასალების მიხედვით



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ილიას აზრით, საზოგადოებისთვის პირველი წამალი პირში სიმაართლის თქმა უნდა იყოს, ისე, რომ არ შეურაცხყო ადამიანის ღირსება. კრიტიკა კარგ რჩევად უნდა გადავაქციოთ და მირე ცხოვრება გაცილებით გამართვადი გახდება. „ძელია ეს ყოველისფერი, ჩვენო მკითხველო, მარტო მამ სიძნელეშია ის საწყაოც, რომლითაც უნდა აიწყოს გახეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწყო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანაგრძობა, შენი პირუთვნელი პატივისცემა“.

«ქვეყანაზედ ქალაქის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმაკვიდრით და სიმაკვიდრით, რომ არავითარი ქალა არ ამოუღოს და არ გააუქმებს»

ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდევ სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი. სწორედ ამიტომ ამბობს ერის მამა: „ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქალაქის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმაკვიდრით და სიმაკვიდრით, რომ არავითარი ძალა არ ამოუღოს და არ გააუქმებს“.



ილიას აზრით, შურნალის-ტიკას ორი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ის არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, ანუ არის საზოგადოებაში ცოდნის გამავრცელებელი; მეორე მხრივ კი, ის საზოგადოების ცხოვრების სარკეა, რომელიც ასახავს ყოველდღიური აზრის „მიდენ-მოდენას“. „იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად დიდი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისი ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვით-რეჟისს დენს საკუთარ თაოსნობას უმორჩილებს“. „შურნალ-გაზეთობამ საზოგადოების ქვეყნა და გონება უნდა აღზარდოს, უნდა ააღორძინოს საზოგადოების თვით-მოქმედობითი ძალა“.

ილია უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს შურნალის-ტიკას. მას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცნობიერება, ცხოვრება; ამ პროფესიის ადამიანი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თავის საქმეს და ეცადოს, მუდმივად იზრუნოს საკუთარი და საზოგადოების თვალსაწიერის გაფართოებაზე, გემოვნების დახვეწასა და განათლების დონეზე.

ილია ჭავჭავაძემ პირველად თქვა ჩვენში, რომ უჩინარის, პრესის ძირითადი მიზანია არა მკითხველის გართობა, არამედ მისი მსოფლმხედველობის გაუმჯობესება, დემოკრატიის, პატრიოტის აღზრდა

ზე საუბარი შორს ნაგვიყვანს, რადგან მასზე ბევრი ავისა და კარგის თქმა შეიძლება. ასეა თუ ისე, ზოგი სწორ გზას ადგას, ზოგი კი მისთვის ვერ მიუგნია და პერსონალურად დიდებით მოპოვებული პოპულარობით ყელყელაობს; სამსუხაროდ, სამარცხვინო, უარყოფითი შედეგის მომტანი, ეპატაჟური საქციელით ცდილობს, მომდევნო თაობებს დაამახსოვროს თავი. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ დღეს ჩვენთან, ვისაც სურვილი აქვს, ყველა შურნალის-

ტიკას მათთვის შურნალისტიკა რეიტინგია, სენსაციაა, სიყვითლეა, ზედამიწობაა... მაგრამ, ზოგჯერ რომ „თქმითაც და მამაც“? თუ „სიყვითლეს“ ნაკლებად გიჟს დაუთმობთ, თუ სიმაართლის მსახურება იქნება როგორც პრესის, ასევე ტელევიზიის მთავარი დანიშნულება, მაშინ მოიპოვებენ შურნალისტიკის დიდი პატივისცემას და მათდამი მოკრძალებულად დამოკიდებულბას.

ეს საკითხები აქტუალური იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნე-

ში. ილია ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნერილში შურნალისტიკას „პოპულიარულ ლიტერატურად“ ან „ადვილ ლიტერატურად“ მოიხსენიებს და განმარტავს: „იმიტომ, რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენათაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებული ძნელი მისახვედრი ცნობები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობები ხალხშია. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის შურნალისტიკა, ნამეტნავად ის შურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო შურნალი“. აი, რა-ორიგ საზოგადოების ვინმე-ავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“.

რედაქტორი კარგად ხედავს, რომ პუბლიცისტიკა მუდამ მებრძოლი კლასისა და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ემსახურება. ილია მიუთითებს, რომ პუბლიცისტიკამ წინ უნდა წამოიყვანოს იდეური დროშა, „უნდა მოემცინა პირდაპირი პასუხი ყოველს საჭირო კითხვაზე, რაც კი პირდაპირ მოედგება ცხოვრების ვითარებას, ის იქნება ჩვენის შურნალისტიკა... რამოდენადაც... „მოამბე“... მიაგნოს და შეიძლება ცხოვრების მავნე ელემენტებსა და შენიშნავს იმ მავნე მცირედსა ცვლილებებს... იმდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებაში“.

საგლეხო რეფორმისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესში თვით ცხოვრებამ წამოჭრა მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები, გამოიწვია ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ აზრთა მრავალფეროვნება. ჩვენში ამას ეროვნული ტიპიკალიც უნდა ერთვის და ყოველივე ეს მოითხოვდა ახალი სახის პრესას.

რუსულმა შურნალისტიკამაც ანალოგიური გზა განვიდა. ამ პერიოდში „საზოგადოებრივ-ლიტერატურული“ შურნალი „სოვერემნიკი“ გადმოვიდა „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ლიტერატურულ“ შურნალად. მღელვარე პუბლიცისტური ნერილების წყალობით ის ხელიდან ხელში გადადიოდა, ამიტომ ათენებდნენ მის კითხვაში ლამებს ჩვენი პეტერბურგელი სტუდენტები. 1858 წელს, „სოვერემნიკიდან“ ლიბერალების (უმთავრესად მწერლების) წასვლის შემდეგ ახალი რედაქციის სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „შურნალისტიკა უნდა იყოს საზოგადოების ცოცხალი აზრის გამოხატველი... შურნალის ხასიათი რომ ერთი სიტყვით განვსაზღვროთ, ეს სიტყვა იქნება საზოგადოებრივი“.


იგივე აზრია გატარებული ილიას ნერილში „საქართველოს მოამბეზე“.

ილია ჭავჭავაძემ პირველად თქვა ჩვენში, რომ შურნალის, პრესის ძირითადი მიზანია არა მკითხველის გართობა, არამედ მისი მსოფლმხედველობის გაუმჯობესება, დემოკრატიის, პატრიოტის აღზრდა.

„საქართველოს მოამბის“ განსაკუთრებულ დამახასიათებელად უნდა ჩათვალოს ჩვენს შურნალისტიკაში მებრძოლი, რევოლუციური, უფრო ფართო გაგებით, საერთოდ პუბლიცისტური ჟანრის დაფუძნება. მას შემდეგ პუბლიცისტიკამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ შურნალ-გაზეთებში.

შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ცისკრის“ პუბლიცისტიკა უმწიფო და უბადრუკად გამოიყურებოდა, ის იყო, რომ მას არ ჰყავდა განათლებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებში ცხოველურ თანამშრომელთა კადრი. პუბლიცისტს კი, სხვა თვისებებთან ერთად, სწორედ ასეთი ფართო და მრავალმხრივი განათლება მოეთხოვება.

დასასრული
შეამდგა ნომარში



«თუ უჩინარს უნდა კითხვინდისიკად აღასრულოს თავისი ძელი საქმე, უნდა თვალგაფაჩიხებით თან აჰყვას ანიდელს ცხოვრებასა, რათა ყოველ ფაქტსა თვალს და გონებას აღავსოს. ყოველ აზრის საკითხსა მოკრძალოს გზა მისსა, ყველაფერი შენიშნოს და ყოველისფერს პასუხი გასცეს. ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფხის გადადგმას»



კენინა ჭავჭავაძის კი ძალა სავსებით გამოეჩინა. ხელი, რომლითაც დიდიან მოყოლებული ეჭირა ბავშვი, დაუბრუნდა. მოულოდნელი ბიძისაგან კენინას ბავშვი ხელიდან უპარდა; ჩვილი ეცემა გალახვა. უბედური დედა შიშველად კივის და ცდილობს, ცხენიდან გადაეშვას, ნორჩი აიტაცოს, მაგრამ მთელი თავისი რკინის ხელით ბოჭავს, ყურადღებასაც არ აქცევს მის კვირსა და ცრემლებს. მათ უკან თავშეფარვლით მსროლმა ცხენებმა კი ჩვილი გადათქარეს... სოლო რომელიც ჩაჩენა ხანჯლის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

«ქართლის ჭირსა ვერკინ მოსთვლის...»

ლეკინოზა XVIII საუკუნეში განადგურებული დემეტრე კახეთის მოსახლეობას. ლეკები დიდეს საფრთხეს უქმნიდნენ ვიდრე მტრების მიერ ისედაც აწიკებული ქვეყანას. შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა თავად დავით ჭავჭავაძის ოჯახი, რომელმაც დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარა. ვაგრაძელები ანა დრანსეს მიერ მოთხრობილ ამბავს წიგნიდან „შამილის ტყვე ქალები“.

ბაგრძელება. დასაწყისი № 1-3 (139-141)

თავდასება. ლიდიან სიკვდილი

ამასობაში ახლოს დიდი განგაში ატყდა. ქართველთა უმნიშვნელო რაზმი ჩვენს გათავისუფლებას ცდილობდა. იგი მოულოდნელად თავს დაესხა ბადრაგს და სროლა აუტყდა. მთიელები რიცხობრივად დიდად სჭარბობდნენ მათ, მაგრამ შიშობდნენ, ამ პატარა ჯგუფს დიდი ძალებიც არ მოჰყოლოდა და, გადაგვაფარეს რა თავზე ნაბდები, გაიქცნენ. ისინი ყურადღებასაც არ აქცევდნენ ყანებს, ხევ-ღრანტყებს, თხრილებსა და სხვა წინააღმდეგობებს. ჰაერი შეძრა ძახილმა: „იმამი შამილი! იმამი შამილი!“, 17 მათრახითა და ყოყინით გაფიცებული ცხენებით ისეთი საშინელი სისრაფით მიჰქროდნენ, რომ სუნთქვა გვეკროდა.


ჩვენ, ყველანი, დავილუპეთ. ყველა არა, მაგრამ ლიდიანი კი აღარ იყო ამქვეყნად! უკვე აღვნიშნე, თუ რა სისრაფით გარბოდნენ მტაცებელნი, უფროსოდნენ რა მდევარს... კენინა ჭავჭავაძის კი ძალა სავსებით გამოეჩინა. ხელი, რომლითაც დიდიან მოყოლებული ეჭირა ბავშვი, დაუბრუნდა. მოულოდნელი ბიძისაგან კენინას ბავშვი ხელიდან უპარდა; ჩვილი ეცემა გალახვა. უბედური დედა შიშველად კივის და ცდილობს, ცხენიდან გადაეშვას, ნორჩი აიტაცოს, მაგრამ მთელი თავისი რკინის ხელით ბოჭავს, ყურადღებასაც არ აქცევს მის კვირსა და ცრემლებს. მათ უკან თავშეფარვლით მსროლმა ცხენებმა კი ჩვილი გადათქარეს... სოლო რომელიც ჩაჩენა ხანჯლის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

გამოებლანდებოდა ანდა ფეხებში ეკალი შეერჭობოდათ. დღესაც სისხლი მეყინება, იმ შემადრწუნებელ პირველ ღამეს რომ ვისხენებ!

აქამდე საკმაოდ ბედნიერი, ვიმყოფებოდი ველურის, მაგრამ მაინც საკმაოდ აღამიანური მთიელის ზედამხედველობის ქვეშ; და რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ უფრო საშინელი ახალი პატრონის ხელში მოვხვდებოდი და უფრო მეტი წვალების ატანა მომიხდებოდა. ჰაჯი-ქერიმის (ასე ერქვა ჩალმის მთიელს — ორი ნუკერისა და ჩემს გამგებელს) ბრძანებით ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავი, დამებრუნებინა ნაბადი, რომელიც ალაზნის გადალახვის შემდეგ მომახურეს, და ასე მივყოლოდი ჩემს მფლობელს.

ჩვენ წინ ნუკერები ნალაფარ ხვასტაგს მიერეკობდნენ და გზას გვიკვლავდნენ. კენინებს მოშორებული ვიყავი. უკვე კარგა ხანი გავიდა, რაც მთავრად ასვლა ვინყვით. თუმცა ჯერ კიდევ ვერ გამეგო, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ამ შულბართს. არაქათი თანდათან გამომეღია და დავეცი. ნარმოიდგინეთ, რა სირცხვილსა და სასონარკვეთაში ჩავვარდებოდი, როცა უმწიკრად მსხვერპლს მათრახი დამიშინეს! თავს დატყევილი უბედურების გადასატანად დიდი მოთმინებით აღვიჭურვე, მაგრამ განა შემიძლო წინააღმდეგობა გასწავლიდი და ნამება, რაც კვლავ მელოდა?

ამაოდ ვატანდი თავს ძალას, გზა რომ გამეგრძელებინა. ლამეული ტყის წინააღმდეგობებმა სულ დამაძაბუნა... მეორედ დავეცი. ჰაჯი ქერიმმა კვლავ დამარტყა. ავდექი, მაგრამ მან ბრაზიანად დამეცა მინაზე... მომეჩვენა, ჩემი მოკვლა მოისურვა-მეთქი. ცალი ხელი რომ პირზე დამაფარა, მეორედ შევერტე მთხმეში. ეს ხელი კორსეტში შეჭურთულ ჩემი შვილის პორტრეტს მოხვდა. და მთიელიც ახალი ენერგიით მეძვტრა: რამდენიმე პატარა ხატსა და წერილებთან ერთად მკერდიდან ჩამომგლიჯა შვილის პორტრეტი, რომელსაც, როგორც სანუკველ განძსა თუ თილისმას, ისე ვუფრთხილდებოდი და ვინახავდი. ყაჩაღს ხატები თითქმის ბიდან დაუცურდა. მთიელს ის ფული ეგონა და მოინდომა, მიუხედავად გზის სიძნელისა, ძალიან დიდხანს შეუსვენებელი მივდიოდით, ნუთითაც არსად შევმდგარვართ. ხან აქ, ხან იქ გაისმოდა ქალების კივილი, როცა მათი თმები ხეებს



არაქათი თანდათან გამოეჩინა და ღვეცი. ნარმოიდგინეთ, რა სირცხვილსა და სასონარკვეთაში ჩავვარდებოდი, როცა უმწიკრად მსხვერპლს მათრახი დამიშინეს! თავს დატყევილი უბედურების გადასატანად დიდი მოთმინებით აღვიჭურვე, მაგრამ განა შემიძლო წინააღმდეგობა გასწავლიდი და ნამება, რაც კვლავ მელოდა?

და იქითკენ გავემართეთ. სიარულმა და სიცივემ ფეხები სრულიად გამიხევა. საშინელი ნყურვილიც მკლავდა. დაჭიკებით ვსთხოვდი ჩემს ჯავალს, წყალი დაეღვივებინა და, რადგან მეჩვენებოდა, რომ ჩემი არ გაეგებოდა რა, ვუთითებდი თუნგებზე (სპილენძის დოქებზე). ეს ჭურჭლები იმ ცხენებზე იყო გადაკიდებული, რომელთა შორიხლოსაც შევჩერდით. ჰაჯი-ქერიმმა ბრძანება გასცა, მისთვის მიწაზე ნაბდები გაეშალა; ერთი ნაბადიც მისივე მითითებით ჩემთვის დააფინეს, ოღონდ დაჯდომაზე უარი განვატყდა: მერჩივნა ერთ-ერთ ცხენს ჩამოვყროდნობოდი, რომლისაც ისე არ მემიზნოდა, როგორც ამ ოქოფსა ბარბაროსისა. იგი აქ ორ საათს მაინც იჯდა. მე კი ძლიერ მანაშევდა სიცივე და ნყურვილი. ბოლოს მთავრეს ახედა, ნაბადი კვლავ ცხენზე მოათავსა და ისევ გაავარდელეთ გზა. ფეხები დამისისხლიანდა; რაც უფრო წინ მივიწვევდი, გზა მით უფრო უარესდებოდა; ყოველწინადად ვფრთხილობდი, მაგრამ წვეტიანი ქვედა და ეკვალბარდები მთელ სხეულს მისახიზრებდა. ჩემი ცემა-ტყევა გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცვდილობდი, ის არ დამემსახურებინა. გზის გაგრძელება ვეღარ შევიძელი, მინაზე დავეცი და, ჩემს ტანჯვა-ნამებზე რომ ბოლო მოვლავდი, ღმერთს სიკვდილი შევსთხოვე. ჰაჯი ქერიმმა კი საუბარი გამბაძა. მისი სიტყვებიდან მხოლოდ ეს გავიგე: — შენ კენინა ხარ?

ამ შეკითხვით მან უკვე რამდენიმეჯერ მომმართა. რასაკვირველია, უნდოდა შეეტყუა, ჩემში რა გამოსასყიდს მიიხედავდა. აზრადაც არ მომსვლიათ, მეტყვა, კენინა ვარ-მეთქი, თორემ ამას, შესაძლებელია, ბევრჯერ დავესხენი აუტანელი მოპყრობისაგან. — მე გუვერნანტი ვარ. ჰაჯი ქერიმს ფრანგული არ ესმოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, კაცთმოყვარეობა გამოეჩინა. ჩემგან საკმაოდ ფასეული ნივთები ნაილო და ამის შემდეგ მას ვერც წარმოეცინა, რომ მე, შესაძლოა, უბრალო გლეხის ქალი ვყოფილიყავი, ამიტომაც მკითხა: — შენ ქალბატონი (ქალბატონი ხარ)? — დიას, — ვუპასუხე მე. ბოლოს ერთ-ერთი ნუკერი იხმო და მხრებში შემიდგნენ. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე, რათა რამდენიმე ნაბადი კიდევ გადამეცა.

როგორც იქნა, ავალნიეთ მთის მწვერვალს და თავქვე დავეშვი. არ შემიძლია განვსაზღვრო, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ძნელი გადასვლა. სამივენი ერთდროულად არაერთგზის დავეცი. მაშინ ჰაჯი ქერიმი შმაგდებოდა და თავის მარცხში ბრალსა მდებდა. ივანე, პირიქით, ყოველთვის აფერხიანად მეპყრობოდა: როცა, მაგალითად, ჩემი შემგარება ან ნამოყენება უხდებოდა, ამას აკეთებდა ფაქინად, უხეშობის გამოუვლენლად. ჩვენი მეპატრონე პირნავარდნილი ჯალათი გამოდგა. და, თუ სიცოცხლეს არ გამოასალმა, ეს მხოლოდ და

მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, ჩემში დიდ გამოსასყიდს მიიღებდა — მან ხომ არ იცოდა, ვინ ვიყავი! საბოლოოდ, როგორც იქნა, გავივადეთ. აქ ივანემ ჰაჯი ქერიმის უკან ცხენზე შემსვა, მაგრამ უნაგირში მავთულები იყო ამორჩილი და აუტანელ ტკივილს მავსებდა. არაერთხელ აღმომხდა მკერდიდან თავშეუკავებელი კვილი. თუმცა ჰაჯი-ქერიმი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ეს მიმითითა: მის ქამარს მაგრად ჩაეჭიდებოდი. ყველაფერ ამასთან ერთად, წარმოიდგინეთ ჩემი საშინელი მდგომარეობა, როცა საკუთარი თავის გადასარჩენად იძულებული ვიყავი შევხებოდი ჩემს ჯალათს, მოწყვეტილი ვიყავი ყველა ახლობელსა და ვიმყოფებოდი ორ უცხო კაცს შორის, რომელთაგან ერთი შიშის ზარსა მცემდა, ხოლო მეორეს, პირველის ნების უნებ შემსრულებელს, არ შეეძლო რამითი დამხმარებოდა, კიდევაც რომ მოესურვებინა.

როდესაც რომელიც ნაკადული გადავალახეთ, მიბრძანეს, ჩამოვქვეითებულყავი და მოხერხებულ ადგილზე გავჩერებულყავი. წყურვილისაგან გული მიღრნებოდა და უკვე ისიც აღარ შემეძლო, წყალი ხვეწნა-მუღართი გამოემთხოვა. რუკი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მიხრიალებდა. გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან, მაგრამ ივანემ დამაკავა. დღემდე ვერ ამისხნია, რა იყო ამის მიზეზი! მან მინაზე ნაბადი დააფინა და მანიშნა, დავმჯდარიყავი. უმალ დავემორჩილე. ჰაჯი ქერიმმა აიღო ხალიჩა, რომელიც მის უნაგირს ეფარა, და რუს პირას გამალა. შემდგომ ამისა, ჩემთან მოიტანა თავისი იარაღები და ჩემს სხეულზე დააღალა — ნიშნად იმისა, რომ მე მისი მონა ვიყავი. თავი მოიშვილა და ღელეს მიუახლოვდა, დაიჩოქა იმ ადგილზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მთვარე და დიდხანს ლოცულობდა. მეც ვლოცულობდი — ღმერთს ვემუდარებოდი: ან დავებრუნებინე კენინებთან, ანდა სიკვდილი ერგუნებინა...

ჰაჯი ქერიმმა ლოცვა მოათავა და მოიახლოვდა. ივანემ ნაკადულიდან აღებული წყალი მიანდა. მანაც შესვა და თუნგი მე გადაომცა, რომელშიც ივანემ რაღაც თეთრი საგანი ჩაავადო: გემოთი მივხვდი — შაქარი უნდა ყოფილიყო. ხარბად დავენაფე წყალს, თუმცა წყურვილი მაინც ვერ მოვიკალი. ამ დროს ჰაჯი ქერიმმა ჯიბიდან ამოიღო ჩემგან ნალეული ძვირფასეული ბრინჯი, რომელთა შორის გახლდათ ჩემი შვილის პორტრეტიც. მან არ იცოდა, რა გამოსახულება იყო ეს და დიდად უკვირდა. ვცდილობდი, მისთვის გამეგებინებინა, რომ ჩემი ბავშვის სურათი იყო, თან ვთხოვდი, უკანვე დაებრუნებინა. ამ სიტყვების წარმოთქმისას მივეუთითე მთვარეზე და წარმოვსთქვი ალლა ირა (ღმერთი არს), ორადლოა არაბული სიტყვა, რომლებიც ვიცოდი. ამან იგი განაცვიფრა. მაშინვე საუბარი გამიმართა, მაგრამ მისი არაფერი მესმოდა. მგონი, სწორედ ამ უთიდან დამიწყო თანაგრძობით ცქერა და მეტად აღარ ვუცემივარ.

(ბაგრძელება შემდეგ ნომერში)

გულგარეთისა და რუხინათის ეკონომიკის კრახი ევროკავშირში შესვლის შემდეგ



ობიგატელის თვალთახედვით, ევროინტეგრაციის პროცესი ნირვანაში ჩაძირვის ან მიწიერ სამოთხეში აღზევების მსგავსი რამ უნდა ყოფილიყო. ბოლო 15 წლის უმნიშვნელოვანესი ლოზუნგი იყო «ევროინტეგრაცია უპირველეს ყოვლისა!». რეფორმებით გამოწვეულ ტკივილს, ეკონომიკურ პრობლემებს, ყველა არეულობასა და შეუსაბამობას ამართლებენ ან ევროინტეგრაციისთვის გაღებული მსხვერპლით, ან იმით, რომ ქვეყანამ ნაკლებად იზრუნა ევროინტეგრაციის დაჩქარებაზე.

რა შერჩა ხელთ რუმინეთისა და ბულგარეთის ხალხებს ევროინტეგრაციის შემდეგ, რომელიც ამჟამადაც გრძელდება? დღეს განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს, თუ როგორ ანგრევდნენ ამ ქვეყნების ეკონომიკებს.

2004 წელს რუმინეთში პრივატიზებულ იქნა სახელმწიფო ნავთობკომპანია Petrom-ი. ლოზუნგი ასეთი იყო: «ჩვენ უნდა გადავიხადოთ ევროპაში ღირებულებები». «პეტრომი» იყიდა ავსტრიული კომპანია OMV-მ. ევროპული მოხელეები, რომლებიც მიაწყდნენ ბუქარესტს, ხელი-სუფლებას არწმუნებდნენ, რომ ემოქმედა პრინციპით — სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკის მართვაში საშინ-

ელი ანტიევროპული ბოროტებაა, თუმცა თვითონ არ ჩქარობდნენ თავიანთ ქვეყნებში ამ „მთავარი პრინციპის“ განხორციელებას.

პრობლემა იყო ის, რომ ავსტრიელების მიერ გადახდილი საფასური 15 პროცენტითაც ვერ ანაზღაურებდა ნავთობის მოიხილებელი მარაგის ღირებულებას, ესეც იმ ტექნიკისა და მომსახურე პენსონალის ანაზღაურების ჩათვლელად, რომლებიც საძიებო სამუშაოებში იყო ჩართული. ზუსტი ციფრები, ავსტრიელები და რუმინეთის მთავრობის გარდა, არავინ იცის: კონტრაქტის გარკვეული ნაწილი გასაიდუმლოებულია, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან არ გაანაწყნონ ელექტორატი.

რუმინეთის ნავთობთან და-

კავშირებული სიტუაცია ნეოკოლონიალიზმის თვალსაჩინო მაგალითია.

შეიძლება მავანმა თქვას, რომ ევროკავშირის დახმარა რუმინეთს ტერიტორიულ დაკავშირებაში, რომლის საგანი კუნძულ ზმიენის შელფი იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ რუმინეთი თითქმის არაფერს მიიღებს იქ აღმოჩენილი რესურსებიდან, რადგან ამ მარაგის მოპოვებას ავსტრიელები და ამერიკელები იმ ხელშეკრულების თანახმად განახორციელებენ, რომელიც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიდო.

ევროკავშირისკენ მიმავალი ხანგრძლივი და მძიმე გზის ბოლოს გაირკვა, რომ რუმინელები თავიანთ ქვეყანაში არენდატორების როლში აღმოჩნდნენ, ბანკებიც სხვისია, ნავთობიც და სავარგულებიც. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ილუზია იაფი ევროპული კრედიტებისა უძრავი ქონების ბუმის წყალობით არსებობდა. სპეკულატიური ბუმი დამთავრდა, დარჩა ვალები, ქვეყანა კი აღარ არსებობს.

ახლა ბულგარეთი განვიხილოთ.

ბულგარეთი კი შევიდა ევ-

როკავშირში, მაგრამ ევროკავშირი არ შევიდა ბულგარეთში. ქვეყანაში დარჩა იგივე კორუპციული მთავრობა, იგივე სინდისგარეცილი მოხელეები გამრავლებული ევროკავშირის მკაცრ ნორმატივებსა და წესებზე.

უნიჭო მთავრობამ დააგროვა ევროკავშირის კრედიტები, ამ ევროპულმა გაერთიანებამ ქვეყანას თავს მოახვია „ახალი“ ეკონომიკური პოლიტიკა, მკაცრი პირობები, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, დაანგრა ბულგარეთის ეკონომიკა.

მეთოდურად განადგურდა მთელი ინდუსტრია, გაიყიდა ყველაფერი, რისი დაჭრა და ჯართად გატანა შეიძლებოდა. მთლიანად განადგურდა სოფლის მეურნეობა. მართალია, ნება დართეს, მეცხოველეობის დარგში გაეგრძელებინათ საქმიანობა, მაგრამ დაანესეს თავიანთი მიზერულეობის დარგში გაეგრძელებინათ საქმიანობა, რამაც გააღატაკა გლეხობა. ასე მოხდა ყველა დარგში. ქვეყანა სრულად იმპორტზეა დამოკიდებული.

ჩვენ სხვა ცხოვრება გვინდოდა, ასეთი — არა. ჩვენ სამარცხვინოდ მოგვაცხუეს. ისე შეგვათრიათ ევროკავშირში, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. დასავლურმა პროპაგანდამ წაგვლეკა. ვიმედოვნებდით, რომ ევროკავშირში შესვლით ცხოვრებას გავიუმჯობესებდით. არა! ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. ცხოვრება აუტანელი გახდა! — ასეთია ბულგარეთის მოსახლეობის სულის ყივილი.

ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში შესვლა ერთი მუჭა ამერიკული ოლიგარქებისთვის იყო მომგებიანი, რომლებმაც სახალხო მეურნეობისა და საერთო ეკონომიკის განადგურებაზე ხელსაყრელი მოითხოვეს. ამ ქვეყნებში კარგად მხოლოდ ზოგიერთი ცხოვრობს, უმეტესობას ძლივს გააქვს თავი.



CNN: ბრიტანეთი მსოფლიოს უსუსვილასი ეკონომიკის სუთიულიდან გამოვარდა

CNN საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, რომ დიდი ბრიტანეთი 2017 წლის მსოფლიოს უსუსვილესი ეკონომიკების რეიტინგში მეექვსე ადგილზეა. რეიტინგში ბრიტანეთს გაუსწრო საფრანგეთმა, რომლის მშპ-ის მოცულობამ 2,575 ტრილიონი დოლარი შეადგინა, სამეფოს მშპ კი 2,566 ტრილიონი დოლარი იყო. ხაზინა მიგვითხრობს, რომ სხვაობის სიმცირის მიუხედავად, საფრანგეთის პოზიცია გაისადა გამყარდება. მან კონკურენტს 2013 წლის შემდეგ პირვე-

ლად გაუსწრო. სტატისტიკა ადასტურებს, რომ დიდ ბრიტანეთში ეკონომიკის ზრდა მკვეთრად შემცირდა და ის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურას უკავშირდება. ფუნტი სტერლინგის კურსი დაეცა, სამომხმარებლო ხარჯები შემცირდა, ფასებმა კი, პირიქით, მოიმატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეიტინგით, პირველ ადგილზეა აშშ (19,4 ტრილიონი დოლარი), მეორე ადგილზეა ჩინეთი (11,9 ტრილიონი), მესამეზე — იაპონია (4,9 ტრილიონი), მეოთხეზე — გერმანია (3,7 ტრილიონი).



მსოფლიოში უპიკისი პოპულარული

ყაზანის გორბუნოვის სახელობის საავიაციო ქარხანაში საჯაროდ წარადგინეს გაუმჯობესებული სტრატეგიული რაკეტები Ty-160M2.

ეს შორი მოქმედების ბომბ-გამგებნი, ძირითადად, შეესაბამება Ty-160-ის საბაზო პროექტს, რომელიც „თეთრი გედის“ სახელითაა ცნობილი. განსხვავდება ახალი საბორტო ელექტრონიკით და აღჭურვილია ახალი იარაღით: მას აქვს 12-ბორთულქობინიანი რაკეტა, რომლის მოქმედების სი-

შორე 3500 კილომეტრია. ზებგერითი ბომბ-გამგებნი 275 ტონაა, რაც ამ ტიპის თვითმფრინავებისთვის რეკორდულია მსოფლიო მასშტაბით. ამ კოლოსს შეუძლია ერთჯერადად ჩასხმული სანავიგაციო დაფაროს 14 ათასი კილომეტრი და განავითაროს სიჩქარე 2200 კილომეტრი საათში. რუსეთის ავიაცია 16 ასეთი მანქანით არის აღჭურვილი, 50-ს მალე მიიღებს. Ty-160 M2-ის პირველი ფრენა 2018 წლის თებერვლისთვისაა დაგეგმილი.

ქალ-სახსართო პათოლოგიისა და გასდომა-გასუქების ხანძარი

კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული სტრუქტურისა და დაზიანებული ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციო სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გასდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონესრიგებით, ქოლესტერინისგან განმედიტ, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუწვევების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: ნაჩითლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

CNN: პარალელი სოჭის სამიტსა და იალტის კონფერენსიას შორის

ეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინ მსოფლიოს სამი სახელმწიფოს ლიდერები შეიკრიბნენ საბჭოთა იალტაში მსოფლიოს ბედის გადასაწყვეტად. 70 წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის გაფლანკის სახელმწიფოები შეიკრიბნენ სოჭში, რათა განესაზღვრათ ომის შემდგომი სირიის მომავალი, — აღნიშნავს CNN.

ამ არხის აზრით, ირანმა, თურქეთმა და რუსეთმა, საზოგადოდ, შეასრულეს მათი ნაწილი მდგარი მიზნები და განიმტკიცეს გავლენა რეგიონში. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ იწყება ახალი ეტაპი სირიის კრიზისში. CNN შენიშნავს, რომ ისინი დაბეჯითებით ვერაფერს იტყვიან, რა განიხილეს ამ შეხვედრაზე და რა გამოვა აქედან, მაგრამ მონაწილეთა სია ბევრის მთქმელია.

მეთუ ჩანს, CNN-ის მთავარი საერთაშორისო კორესპონდენტი, აცხადებს: ჩვენ ვიცით, რომ ეს სამი ფიგურა — თურქეთის, ირანისა და რუსე-

თის პრეზიდენტები — ერთმანეთს ულოცავენ სირიასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებას. სამხრეთი შეხვედრის დაწყებამდე პუტინმა მაღლობა გადაუხადა ირანისა და თურქეთის ლიდერებს და რომ ისინი დაეხმარნენ სირიას და იხსნეს ეს ქვეყანა დანაწევრებისგან. მან თქვა: „თქვენი პოზიცია რომ არა, არ დამთავრდებოდა საომარი მოქმედება, არ შეწყდებოდა ცეცხლი, ვერ შეიქმნებოდა დესკალაციის ზონები“.

„ასე რომ, პუტინის აზრით, ამოცანა ფრიალზე შესრულდა. და მართლაც, ამ ქვეყნებმა გარკვეულად მიაღწიეს და-



სახულ მიზნებს სირიაში. ირანელებმა გააფართოვეს თავიანთი გავლენა როგორც სირიაში, ასევე, მთელ ახლო აღმოსავლეთში; თურქები არავითარ შესაძლებლობას არ აძლევდნენ ქურთებს, სირიის ტერიტორიაზე შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. რუსებმა კი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვარჯენეს, რომ ერთგულებით თავიანთ მოკავშირეებს, რომ ისინი სერიო-

ზულ ძალას წარმოადგენენ, რომლის უგულვებლყოფა არ შეიძლება, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე მის საზღვრებს მიღმადაც. ვფიქრობ, რომ პუტინისა და კრემლის აზრით, ეს არის მთავარი წარმატება. ახლა უკვე აშკარაა, რომ რუსეთი სერიოზული მოთამაშეა, რომელთანაც საქმე უნდა დაიჭირო, როცა საკითხი ეხება ახლო აღმოსავლეთს“, — ასკვნის რობინი.

საქართველო ესტაბლიშმენტი
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

